ხელშეკრულება №227
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი, 16 დეკემბერი, 2013 წელი

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი სამმართველოს უფროსის ვახტანგ წულაძის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი"-ს (შემდგომში „მიმწოდებელი") ბათუმის ფილიალის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის პაატა დუმბაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს!" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ა/მ ტექნიკური მომსახურების (კლასიფიკატორის კოდი CPV-50112200) შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 70 (სამოცდაათი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

2.3 მომსახურების ობიექტის დასახელებები, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ფასების ცხრილის (დანართი№1) მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

3.1. მომსახურების მიწოდების ადგილია ქალაქი ბათუმი ადლია.

3.2. მომსახურების მიწოდება განხორციელედება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

4. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის და წუნდების მიზეზის მითითებით.

4.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის,) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სულხან თამაზაშვილი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ადმინისტრაციული სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 8.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

8.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი
რესურსების სამმართველო
მის: ქ. ბათუმი, ვახტანგ გორგასალის 124.
საიდენტიფიკაციო კოდი 245444906
ს.ს. „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგარიში: GE88LB0121162303587000

ვახტანგ წულაძე
სამმართველოს უფროსი

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი"
ფაქტ. მისამართი: ქალაქი ბათუმი,
ადლია.
იურიდ. მისამართი: ქალაქი, თბილისი
აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.N5.
საიდენტიფიკაციო კოდი 202177205
ს.ს. „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის № GE80TB0600000024467853

პაატა დუმბაძე
ბათუმის ფილიალის დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

დანართი №1

ფასების ცხრილი

	მომსახურების დასახელება	ავტოსატრანსპორტო საშუალება	CPV კოდი	საერთო ფასი (ლარი)
1	ა/მ ტექნიკური მომსახურება ძრავის ნაწილების შეცვლა (ღვედი,ღვედის დამჭიმი.ღვედის ამყოლი გორგოლაჭი)	OPEL ZAFIRA BBR-030	50112200	70
ჯამი		**70 ლარი**		

სამმართველოს უფროსი

ვახტანგ წულაძე

შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი"
ბათუმის ფილიალის დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

პაატა დუმბაძე